სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს

ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

გაცნობებთ, რომ შპს „კოდორი" (ს/კ: 400215101), შპს „ემ კუბთან" გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, გეგმავს, ქ. თბილისში, მიწის სამშენებლო ფართზე (ს/კ: 01.13.05.001.183) გამავალი, სს „თელასის" საკუთრებაში არსებული, 110 კვ-ის ელექტროგადამცემი ხაზის „ღრმაღელე" (ს/კ: 01.01.180) N1 და N2 საყრდენებს შორის არსებული საჰაერო მონაკვეთის ნაწილის ჩანაცვლებას მიწისქვეშა საკაბელო ხაზით. აღნიშნული საკითხი შეთანხმებულია სს „თელასთან".

ვინაიდან, კომპანიის მიერ დაგეგმილი საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" II დანართის მე-3 პუნქტის, 3.4 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე, სააგენტო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ის საჭიროების შესახებ, წარმოგიდგენთ ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 ნაწილისა და თქვენი 2023 წლის N21/3666 წერილის შესაბამისად, მომზადებულ სკრინინგის ანგარიშს.

გთხოვთ, განიხილოთ თანდართული დოკუმენტაცია და გასცეთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

დანართი: სკრინინგის ანგარიშის ელ. ვერსია, Shp ფაილები.

პატივისცემით,

შპს „კოდორის" დირექტორი

ვლადიმერ კვარაცხელია

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
„24" 05 2023
№ 4648